წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 14

ქ. წყალტუბო 6 ნოემბერი, 2026 წელი

2026 წლის 6 ნოემბერს, 13:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - კობა გურეშიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნესტორ აფხაძე, სერგო კირკიტაძე;

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: ნიკა მჟავია, არჩილ ღიბრაძე, რევაზ დიდავა, ვაჟა ჟორჟოლიანი, ლევან ჩანქსელიანი;

ფრაქციის თავმჯდომარეები: ლატავრა ბენდელიანი, ომარ სინაურიძე;

წევრები: მამუკა ჩხეტიანი, ჯეირან ომანაძე, რომეო ნიჟარაძე, ირინე ცაავა, ხათუნა მაღლაკელიძე, თამთა ვარდოსანიძე, ნინო ჭეიშვილი, გელა ბაჯაძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, თედო ჭოლაძე, შალვა კილაძე, გია ხურცია, ვლადიმერ ხურცია, რევაზ მარგველაშვილი, ნუგზარ ქუთათელაძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, ოთარ სულაშვილი;

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიორგი ფაჩუაშვილი, ნაილი ჭოლაძე, ნოდარ ასათიანი, ავთანდილ მხეიძე, დიმიტრი ომანაძე, მალხაზ მანაგაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ყურაშვილი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი-მალხაზ ჩხეიძე, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მაია ბერაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან კირტავა, საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი ირინა ჩაკვეტაძე, მერიისა და საკრებულოს საჯარო მოხელეები, პრესის წარმომადგენელი და სტაჟიორები.

თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1.,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026 წელს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის '' ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის გ-49.49260588 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხს: რევაზ დიდავა,თანამომხს:მალხაზ ჩხეიძე/

2.2026-2027 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ.

/ მომხს: რევაზ დიდავა,თანამომხს:მალხაზ ჩხეიძე/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.
მომხრე-28
წინააღმდეგი -0
დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026 წელს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის '' ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის გ-49.49260588 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''. სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსმა მალხაზ ჩხეიძემ აღნიშნა ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებში დარჩენილი ეკონომიები გადანაწილდა სოფელ ბანოჯაში, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებში.

საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, ლევან ჩანქსელიანმა მალხაზ ჩხეიძეს დაუსვა შეკითხვა : როდის დაიწყება რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოები?
დასმულ შეკითხვას მალხაზ ჩხეიძემ უპასუხა, სამუშაოები დაიწყება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გავლისა და მთავრობის შესაბამისი განკარგულების გამოცემის შემდეგ, შესრულდება ეტაპობრივად 2027 წლის ბოლომდე.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-28
წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026 წელს ,,სოფლი მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის გ-49.49260588 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/თან ერთვის ოქმს/.

2. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,2026-2027 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ.''

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე- 28

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,2026-2027 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/თან ერთვის ოქმს/.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო,
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა ტაბიძე